კვირა 14 თებერვალი

ფასი 10 კაპ.

# მათრახი

№ 7. — სალამური

ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.




## ლიტერატორებით ვაჭრობა.

**ხმოლ. მირზოევი.** ვერა, მუსიო ბატაილ, ხელს არ მაძლევს! ყველას თავისი ფასი აქვს, ლიტერატორი უბრალო პოლიციელი ხომ არ არის, ხუთი მანეთით მოისყიდო?!

**მუსიო ბატაილ.** არა, ძალიანაც ნუ განაზღდებით, ხამი არ გახლავარ... ლიტერატორთა ფასებიც ... აევეგება. ოცდა ათი თუმანი კარგი ფასია, მომატება არ შემიძლიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხმოს. მირზოევი.** შე დალოცვილო ერთში წელანაც იძლეოდი 12 თუმანს და დანარჩენები 23 თუმანი არა ღირს? 35 თუმანი უკანასკნელი ფასია. შე ბევრი ვაჭრობა არ მიყვარს. თუ ასე ცოტას გთანხმდები, ეს იმიტომ, რომ მინდა კავკასიის მდიდარი ბუნება დამუშავდეს, წარმოება აყვავდეს, ქვეყანა გამდიდრდეს. 35 თუმანი უკანასკნელი ფასია!

**მუსიო ბატაილ.** უკანასკნელი სიტყვაა?!

**ხმოსანი მირზოევი.** უკანასკნელი!

**მუსიო ბატაილ** კარგი, რა გაეწყობა, გამომიხვიე ორივე და კარგათ დაიხსომე თუ რა მოვალეობა გაწევთ კისრათ.

**ხმოსანი მ რზოევი.** თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ!

---

# პირველი ქვა!!

—

ვინ სძლიოს კაცმა, ხორც-სხმულმა,
ეშმაკეულის ცთუნება?
ვინ გადალახოს იმისი
ავი ზნე, ავი გუნება. ?
ვინ დაარღვიოს იმისი
ბოროტი განზრახულება,
ვინ შესძლოს, ადამიანმა,
დათრგუნოს თვისი ბუნება?
ვინ ანაცვალოს ოქროს კერპს
კალმის გაფხაჭუნება,
ვინ შეუფარდოს სიცოცხლეს
სიმართლის გადაბრუნება?
ესე ვითარად ამ სოფელ
ვერავინ განიკურნება.
მიტომაც ხშირი საქმეა
მათრახის ჩვენის ცხუნება!!

* * *

ჟურნალისტიცა კაცია,
მისი ძე ჩამომავალი,
ადამიანთა თვისება
მასაც თან დასდევს მრავალი!
ის აზრით ვაჭრობს, სიტყვები
ვით წყარო მოედინება,
ამ გზით შოულობს ლუკმა პურს,
(თუ რედაქტორმა ინება.)
ვინც, კმაყოფილი ცხოვრებით,
კალამსა წაეტანება,
(საქველმოქმედოთ მოყვასთა
ტვინი რა მოეფხანება)
ის ვერ გაიგებს სიმწვავეს,
ცხოვრების სიდუხჭირესა,
სხვის თვალში ბეწვსა მონახავს
თვისაში ვერ სცნობს დირესა.
ის ბაქი ბუქობს მარადის
სიწმინდით განუზომელი,
რამეთუ ცნება „შიმშილი“
არს მისთვის მიუწდომელი.
(სამაგიეროთ სადაც მას
სარჩოსთვის ბრძოლა უხდება,
რამდენი გინდა სიყალბე
და ცოდვა გამოუხტება!!)
აქ კი; სად სიტყვა ეხარჯვის,
გრძნობა გულს მონადინები
გადმოქუხს მისთა ბაგეთა,
ალმგზნები, ალმატყინები.

* * *

მოგეხსენებათ, მირზოევს
შეემთხვა სიდუხჭირობა,
(ტრამვაის გამგეობასთან
შეუკრავს რაღაც პირობა)
უთქვამს: გიშოვნი ყმაწვილებს,
აზრისა გამყიდველებსა,
თუ რომ სასყიდელს, სიძუნწით,
თვენ არ მოუჭერთ ხელებსა.
გაიღებთ, რაც ღირს იმაზე
ზედ მეტს და არა ნაკლებსა...
სხვა არავინ ყავს პატრონი
ამ განწირულებს, საწყლებსა!
სირეგვნე დასდევთ მოხუცებს,
ძალას ატანენ ჰკუებსა,
ბევრს კი ვერ ვნახავთ ამათებრ
ადვილათ მოსატყუებსა.
დასდევს პირობა. იყიდა
ტრამვაიმ ორივ მათგანი,
მაგრამ მწერლობის ქათმებმა
სხვა რიგათ იწყეს კაკანი.
აქ გამომჟღავნდა ყოველი
წინასწარ დანამალები,
(და როგორც სწერდენ პრესაში
„ბევრს აეხილა თვალები.“
შეიტყვეს, რომა მწერლები
თურმე თავის აზრს ყიდიან,
პირობის დასადებათა
მირზოევთანაც მიდიან!!!
შეიქნა ერთი ამბავი
და ხმაურობა-წრიალი;
უკიდურესათ გახშირდა
კალმის და მუშტის ტრიალი...
(რას იზამ, როცა პრესაში
მოცლილობაა ტიალი!)
კომისიები... კრებები...
მკითხველს გულ გაუწვრილებენ!
ჟურნალისტები... ხმოსნები...
ერთმანეთს წააცილებენ.
სწერენ და სწერენ, მსჯელობენ
მარად-ჟამს, ყოველ მხარესა,
(ამბობენ: ზოგი ამ წერით
ცოლ-შვილსაც გაახარებსა,
რადგან სტრიქონზე აძლევენ
საგონორარო ფარებსა)

*
* *

ეშმაკმა ამა საქციელს
ჯოჯოხეთურად დახედა.
სთქვა: „მოდი დავცდი მყვირალებს
ეგრე რომ სწერენ მკვახედა“.
მოიხმო ორივ მწერალი,
ზვარაკათ შეწირულები,
(ვისაც აელო ტრამვაის
ნაძირზოევი ფულები)
და გაიყვანა მინდორში
გასაკითხ განსასჯელათა.
მუნ მოიწოდა ყ ველი,
მოუბრე ენა ჭრელათა.
უთხრა მათ: „აჰა მოყმენო,
აწ სათაკილო ყოლათა,
მოიღეთ ლოდნი მძიმენი
გვამთა მათ ჩასაქოლათა.
არ შეშვენს მწერალს სილაჩრ ე,
ქანქარით მოსყიდულობა,
აქ საჭიროა სიწმინდე,
სიმტკიცე, გაბედულობა.
მათ შეურაცხყვეს, შელახეს
თქვენი უმწიკვლო სახელი,
გასთელეს გრძნობა სპეტაკი,
მარად-ჟამს დაუძრახველი.
სასტიკი მსჯავრი დაუდოთ,
განვსაჯოთ უზოგველათა,
**მაგრამ ესროლოს პირველმა,**
**თავს ვინც გრძნობს უცოდველათა“.**

—

მოულოდნელათ შეშფოდენ
პატივცემული პირები,
ფერი ეცვალათ, გაშეშდენ
ხელში ქვა მონაღირები!!

**ეშმაკი.**

# დეპეშები გურიიდან.

(ღიკლიკაძის სააგენტო)

**6 თებერვალი.**

**ოზურგეთი.** ხმა გავრცელდა ოზურგეთში
საშიშარი გასაგონი:
„გორგასლიძე გადაყავთო
ერევანშიაო მგონი.“

**ხიდისთავი.** საშიშარი სროლა იყო. უმხედროთ დარჩენილმა ცხენებმა ჩოხატაურში მსწრაფლი „დონესენიე“ გააკეთეს. აღმოჩნდა სასიკვდილოთ დაჭრილი ცაცხვი. ორი ბჟოლი და ხუთი თხმელა კენწეროში გაკაწრული.

**იქიდანვე.** ბლაღოჩინს ყოჩის ხარისხი მისცეს. ასეთ აღმატებას, ლუკას თავმჯდომარეობით, მთელი **ბაზარი** დღესასწაულობს.

**ოზურგეთი.** საქველმოქმედო წარმოდგენაზე (სამოქ. სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ) ქველმოქმედებით თავი ისახელა იმავე სკოლის მასწავლებელმა ბ. გრიგოლაშვილმა, რომელსაც წარმოდგენაზე დაუსწრებლობისათვის გამგენი მადლობას სწირავენ. მარცხი არაფერი მომხდარა.

**იქიდანვე.** მეცირკეებმა სამოცდა ხუთი უკანასკნელი წიკუნტალიზაცია გამართეს. თუ რაჭველები თავს იწონებენ მაისურაძით, მაგიერი გურულებსაც გვყავს მამინაიშვილი და ჩოჩუა.

**შემოქმედი.** გარდაიცვალა ამას წინათ შეტაკების დროს დაჭრილი ყორე, რომელსაც მარჯვენა მხარში ჰქონდა ტყვია მოხვედრილი.

**ბახვი და გვაბზუ.** ცხემლის ხიდზე ორივე საზოგადოების შეერთებული ყრილობა (და არა კრება) იყო. გადაწყდა ფირალების შეპყრობა სამი დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ორი საზოგადოება ეტაპით გაიგზავნება ზუგდიდის მაზრაში, სამაგიეროთ იქიდგან გადმოასახლებენ სასტრაჟნიკო დელიყანდებს.

**ჩოხატაური.** სიო ბერიძემ ადგილობრივ ბოქაულს სეკუდანტები მიუგზავნა ცილის წამებისათვის და ხეების ტყვიით დაჭრისათვის.

**ოზურგეთი.** (8 თებერ.) გორგსალიძის გადაყვანა ნამდვილი აღმოჩნდა. შესდგა სამგლოვიარო დეპუტაცია და ერთი მღვდლის წინამძღოლობით განუცხადეს სამძიმარი. გორგასლიძეს ჯერ კიდევ **იმედი** აქვს დარჩეს: რუდოლფი რას მიქს, როცა ტოლმაჩოვი მწყალობსო.

---

გული დასერა ზამთარმა...

(ვაჟასებური)

გული დასერა ზამთარმა,
გატიტვლებულმა არემა,
თალხში ხვეულმა მიდამომ,
ნაკადმა გულმწუხარემა,
ყვანჩალას ყვა-ყვას ძახილმა,
ქარის სისინმა მწარემა.
გული დასერა ზამთარმა,
ყინვამ სიმები გაჰყინა,
ჩემს ქნარსა დაობლებულსა
ცხარე ცრემლები ადინა,
ბუნებამ განაპარტახმა
მის კვნესას თვისი დასძინა...
გული დასერა ზამთარმა,
დღე დამიყენა მან მწარი...
წავიდეს, მალე წავიდეს,
არ მინდა გულშესაზარი...
გაზაფხულს ველი ტურფასა...
რად იგვიანებს, სად არი?

**ვ. მალაქიაშვილი.**

(გაზეთ „ნოვაია რეჩის“ თანამშრომლებს გადა-
უწყვეტიათ, თფილისის გუბერნატორს იარაღის
ტარების ნებართვა სთხოვონ, რათა უზრუნველ
ჰყონ თავიანთი თავი თავ-დასხმისაგან. „ახალი
სხივი“ № 1).




# შ ე ი ა რ ა ღ ე ბ ა!

პამპულანი შეიკმაზენ
თოფითა და ჯინჯილითა,
მთელი მხარე გააყრუეს
საყვირით და წინწილითა.

ერთმანეთს ემუქრებიან
უქველი სიკვდილითა..
გარეშე მაყურებელი
ლამის მოკვდეს სიცილითა.

# ყვავი და ბუ.

—

გაუდიდდა ერთ ყვავს ცოდვა,
გაურისხდა მაღლით ღმერთი
და მოუკვდა ნაამაგი
შვილი პირმშო, ერთად ერთი.
უბედურმა და მზებნელმა
მწარე ნაღველს მისცა თავი,
(აუტანელ ჯავრს განიცდის
დედა შვილის დამკარგავი!)
მარა თავი ვერ მოიკლა,
ვერ გადაყვა შვილს ადვილათ.
(ტკბილ სიკვდილზე, მწარ სიცოცხლე
უტკბესია ათას წილათ).
წამხდარ დროზე რაღა ექნა
ბედშავს ამის უკეთესი,—
განიზრახა,—კვდარს მიაგოს,
ბოლოს, მაინც, მისი წესი:
გაუმართოს, ვით რიგია,
ადათური დატირება...
ყვავმა თხოვნით ბუს მიმართა,
(ჩხიკვმა მისცა გაპირება).
უთხრა მან ბუს: მახლობელო,
ნათესაო, ჩემო დაო,
ერთად ერთი შვილი მყავდა,
გადამელო, ხომ ხედაო!
ვევლებოდი თავზე აგერ
ერთი წელიწადიაო,
და რა მოკვდა, დატირებაც
შესაფერი მწადიაო,
მარა ტირილს, უბედური,
ვერიდები თვითონ მეო,
და გთხოვ, აგი ჩემი მკვდარი
შენ იტირო, როგორმეო.
ამით არა დაგაკლდება,
ადვილია შენთვის ესო,
დიდი თავი შენ გაბია
და ტირილი არ გატკენსო.

—

ზოგიერთი ვაჟბატონი
ჩვენშიაც სჯის ამ ზომ კარგათ,
და მზათაა თავის ტვირთი
სხვას აჰკიდოს ზურგზე ბარგათ!

ა. ბლიკვაძე.

---

## დეპეშები.

(ვოლდემარის სააგენტო).

**ფოთი.** ერთს მრავალ-რიცხოვან კრებაზე ერთხმათ არჩეულ იქმნა ,,მუშტიზმის'' პროფესორათ დამსახურებული მოღვაწე კოწია*), ხოლო პრივატ-დოცენტათ ბ ნი იასონი.

*) ამბობენ სტუდენტობის დროს იგი მიუზრდილ ხეებს ძირიანათ სთხრიდაო.

**იქიდანვე.** ახლად ამორჩეული ფოთის ჩემპიონატი (კოწია და იასონი) ქალაქის სამმართველოში მუდამ-დღე გამართავენ სახალხო ვარჯისობას. შესვლა უფასოა, მაგრამ არა უხიფათო.

**იქიდანვე.** ტიფი და სხვა გადამდები ავათმყოფობანი სრულიად მოისპო. ექიმების სიხარულს საზღვარი არა აქვს. სამაგიეროთ ექიმთა შორის იმატა მთქნარებამ.

(ვარგისსის სააგენტო)

**სამტრედია.** ერთმა ღრმათ განვითარებულმა პირმა გადასწყვიტა მთელი სიცოცხლე სამტრედიის კეთილდღეობას შესწიროს: ხშირ ხშირათ მართოს სახალხო წარმოდგენები; დააარსოს უფასო საავათმყოფოები; გახსნას საკვირაო სკოლები.

ამ სასახელო საქმისათვის მან დანიშნა კვირეში მეცხრე დღე და სისრულეში მოსაყვანათ ის შემოსავალი, რასაც ამ დღეს აიღებს, მაშ გაიხარეთ ტვირთ-მძიმენო და დამაშვრალნო. ბედი კარზე მოგადგათ.

**იქიდანვე.** რკინის გზის მოხუცმა და ახალგაზრდა მუშებმა გადასწყვიტეს სპეციალურათ შეისწავლონ ცეკვა თამაში**) ამ განზრახვით აირჩიეს დერიჟორები და მასწავლებლები.

**) ცხადია მუშებში გაზრდილა კულტურულ განვითარებისადმი მიდრეკილება და ამის შემდეგ ყოველგვარ ჰანგზე დაიწყებენ ცეკვას.

ეშმ-აკი.

---

# იმედი.

ცა ჩამოსტირის ღრუბლით მოსილი,
არე-მიდამო წყვდიადში სცურავს,
ქარი დაჭრილი ნადირის ხმაზე
დაქრის, ღრიალებს, ხე ტყესა მუსრავს.
გაპარტახებულ ცხოვრების მთაზე
შავ-ფრთოსან რაშით დაქრის სატანა
და ჯოჯოხეთურ იმის ხარხარზე
შიშით ცახცახებს მთელი ქვეყანა.
მის მძლავრ ფრთებისგან ჩანგ დამსხვრეული
ვდგევარ მთაზედა გაყუჩებული
და იმის ფრთასხმულ ავ-სულობაზე
ბრაზით ვივსები, მიშფოთავს გული.
მტრისა ნატყორცნი შხამის ისარი
ვერ მუსრავს გულში რწმენის ყვავილებს,
ამაოთ ქრება მისი სიმწვავე...
ის ტანჯვას კიდეც გამიადვილებს.
იმედით ვავცქერ აღმოსავალსა
წყვდიადის ჯაჭვით შეკრულ შებოჭვილს,
მწამს ის ამოვა, ის ვინც მიდამოს
გადახდის შავ-ბნელ ღამისა მანდილს.
სხივების ჯილას დაადგამს თავზე
გრიგალთან მებრძოლ მთებისა კრებას,
და საკინძ გახსნილ არე მიდამოს
უხვათ მიუძღვნის თვის ელვარებას.

პარტახი მდელო დაიყვავილებს,
ქნარი წარმტაცათ აწკრიალდება,
სულს გაუტევებს შმაგი სატანა
ქვეყანა ედემს დაედარება.

**დ. თურდოსპირელი.**

---

## ტარიელ ჯიხაიშელი!

უდროვო დროს გარდაიცვალა ნეტარხსენებული ეგნატე ნინოშვილი! ის ვერ მოესწრო ჩვენი სამრევლო სკოლის მასწავლებელ, ერმილე მიქელაძის, მოვლინებას. სამაგიეროთ უბედურია ბ-ნი ჯიხაიშელი ტარიელ მიქელაძე, რომ ეგნატეს დროს არ დაიბადა და ღირსი არ გახდა მისი კურთხეული კალმის ქვეშ გატარებისა.

ბევრით განსხვავდება დღევანდელი ჩვენი ტარიელი უწინდელისაგან! ბევრი უკეთესი, სატარიელო, ღირსებებით არის იგი დაჯილდოებული უზე ნაესისაგან. ჯერ მარტო ის რათა ღირს, რომ ჩვენი რაინდი მასწავლებელია, დიახ მასწავლებელი! მართალია მას მასწავლებლობისა იმდენი გაეგება, რამდენიც სამტრედიელ ინდოურს ვარსკლავთ-მრიცხველობა, მაგრამ სასულიერო მთავრობის სკოლებისათვის ესეც ხომ დიდი განძია?!

ამ მხრით ჩვენი ტარიელ-ცარიელი ბევრით სჯობნის ნეტარხსენებულ „რაინდს ჩვენი ქვეყნისას“. მის მეხსიერებას არა ერთი და ორი რაინდული გამოსვლის კვალი აძევს, არა ერთი და ორი ბექედი აზის. ის არ არის ტარიელ მკლავაძესავით გულ-ზვიადი, შეუპოვარი, შლეგი. პირ-იქით, როგორც დროსა და თანამდებობას შეეფერება, ის უფრო ხერხიანი, (უკეთ ვსთქვათ ხრიკიანი) ანგარიშიანი, ქალიჩუნა და მორიდებულია. მორიდებული რასაკვირველია საფრთხესთან თავისი პიროვნების დასაცველათ და არა სხვისი ღირსების დათრგუნვის დროს. არა, სრულიადაც არა! როცა საქმე სხვის ღირსება პატიოსნების შელახვა-შეგინებას შეეხება, ის ამ დროს შეუდარებელია, შეუდარებელი, როგორც ათასი ტარიელი ერთად შეზავებული.

ბედნიერია ჩვენი სოფელი! ღიერთმა მას ბევრ რამეში გაუცრუვა იმედები, მაგრამ სამაგიეროთ ღვთის მსახურებმა, სასულიერო უწყებამ, აუნაზღაურა ეს დანაკლისი და მოუვლინა პატარა ნორჩების აღმზრდელათ ასეთი უნიჭო და უმწიკვლო ადამიანი, ანუ უკეთ ვსთქვათ ადამიანის სახის მატარებელი ასლი ტარიელ მკლავაძისა.

**მეხი.**



# ბედის მწერალი

ანუ

**ნამდვილი შემთხვევა ზუგდიდის სატუსაღოში.**

ძინ... ძინ... ძინ... წკარუნ-ჩხარუნით
ოთხ ცხენბმულ ფაეტონებით,
გაჭედილ გადაყვითლული
კაკარდით და პაგონებით,
ზუგდიდს ეწვია უეცრივ
თვით ვიცე—გუბერნატორი,
თან ახლდენ ჩინოვნიკები—
მას—არა ერთი და ორი...
რევიზიაზე გეახლა,
როგორც რიგი და წესია,
რომ ნახოს: მოხელე პირებს
თუ ვის-რა დაუთესია?
მან სხვათაშორის შეაღო
საპყრობილისა კარები
და მუნ სურათი იხილა,
ეშმაკის გასახარები.
აქ ციხეს ზედამხედველათ
ყავს ალექსანდრე კედია,
თავით ფეხამდე გაქნილი
აზნაური და ყბედია;
ტუსაღებს თურმე სახადი
მუსრავდა კაი ხანია,
მას კი ამ შემთხვევის გამო,
თავიც არ შეუფხანია.
მხოლოთ შეღება უძვირა
მან სატუსაღოს კარებსა...
(ავათმყოფ ტყვეებს სტოვებდა
მუნ ბედის ანაბარებსა...)
და აქ კი... გუბერნატორი
გაუჩნდა უცებ, ხათადა!..
ზედამხედველიც ციხისკენ
მიექანება სწრაფადა.
ფეხად შეასწრო რევიზორს
და მოსულს-შეხვდა დაკლადით:
რამდენი იყო ტუსაღი,
რამდენი დაწყდა სახადით...
სახადიანი კამერის
შემდეგ შეაღეს კარია
და სჰვრიტენ: იატაკზედა
საწყალათ აგდია მკვდარია,
სულთბრძოლის მწარე ნიშნები
სახეს შთენია ავათა:
დაღრეჯილ გადაზნექილსა
საზარელ სანახავათა.
ხელები გადაგრეხოდენ
თავი ცალი მხრით გადეგდო,
ალბათ, არვინ სჩნდა,—თვალ ყური
მომაკვდავისთვის რომ ეგდო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აქვე სჭერტენ მეორეს,
მგმინავს, მწუხარე სნეულსა:
ებრძვის, არ უნდა დანებდეს —
საბრალო—სიკვდილს, წყეულსა.
მაგრამ მშველელი არა ჰყავს,
თვით მიმწოდებიც წყალისა,
არა თუ სხვა რამ საჭირო
საჭმელის, ან წამალისა...
ამ სანახავის წინაშე
თვით რევიზორიც შეწუხდა:
,,ეს რას ჰგავს, თქვენი ჭირიმე?!''
შეჰყვირა, აზარ-აქუხდა:
,,ავათმყოფს სად ყავს მომვლელი?
მკვდარს რატომ არა მარხავთო?
მიპასუხევით საჩქაროთ,
ამ ციხეს ხომ თქვენ მართავთო!..''
წამოდგა ზედამხედველი,
როგორც გაუწყეთ, კედია
და იწყო ტყვევა სიტყვების.
რამდენიც ამოეტია.
,,ეს-ასეაო, ეს-ისე...
ორი დღეაო, რაც მოხდა...
მეორეც სულთმობძავია..,
ვუცდით და... ჯერაც არ მოკვდა,
მაგრამ დღეს ან ხვალ...ზეგ მაინც...
მეორეც აღსრულდებაო:
ორივეს ერთად დავმარხავთ,
იაფად დაგვიჯდებაო!..''
—,,ეკონომიაც ესაა!..''
და... რევიზორი ოცდება,
მაგრამ აქ ,,ნავთის ხარჯვისა''
ამბავი მოაგონდება.
და ეტყვის: ,,ხარჯვის ზოგვაში
ვსცან, რომ ხარ დანაგეშიო,
მაგრამ მაცნობე, სიუ ნავთსა
რამდენსა ჰხარჯავ თვეშიო?!''
—,,ნავთი რა ჩემი საქმეა!
ეგ სტოროჟს ეკითხებაო,
და თქვენც მას მიაკითხავდეთ,
ურიგო არ იქნებაო!..''
ესმის რევიზორს კედიის
დრამატიკული რეჩია,
შესცქერის ამ ,,ურცხვ ვაჟბატონს''
და მხრები აუჩეჩია...
..ბრძანა და მიცვალებული
დაამარხვინა იმ დღესა,
ახალი გამგე-პატრონიც
მყის დაუნიშნა ციხესა.
და იმ მეორე მომაკვდავს,
როცა ელირსა წამალი,
აკი გადურჩა შავ სიკვდილს
და დღეს ,,ბოგინობს'' საწყალი.

**ონისიმე.**

---

# გურული სცენა.

**ეი, ვახ! ეი, ვახ!**

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს! სა მიიჩქარი ასე ადრე?

— ამოგდებაში, დაფსებაში, დაღუპვაში, კურმუხეთში, ჯოჯოხეთში, მიუსავლეთში—რა ვიცი სა მივალ, კაი სეირია თუ ფიქრობ, მე ჩემ თავს ვეკუთნოდე, საითაც მინდა იქით წევიდე. ამფერ სიცოცხლეს ორ თავ ტარანაზე გადავცვლი, მარა ვინ იქნება იგი ტვინიდან დაცლილი, რომ შევატყუო?

— რა იყო, კაცო, რომ ჩამაქიშმანე, ქე მიმახთინე ბარემაი.

— ვაი უბედურს შენს ჭირისუფალს, აგი თუ შენით არ ხარ მიმხთარი! რა გიჭირს, რა დღეში ხარ—მე რაფერ უნდა მიგახთინო, შენი თავის გამოცვლა რომ შემეძლოს, იმისთანაი კაი ყაძახი ვიყო, ვერც ასე დამიჯაბნიებდენ, ვერც ასე გადამაჯდებოდენ ზურგზე. ნეტა მაინც შენი ქრისტეს მადლით, იმფერი მცემდეს, მაგინებდეს, მისი ბატონათ გამჟღავნება ღირდეს. მისი კერიე დეიქცა, მისი ხორცი დააწიპაწეს ჯოჯოხეთში ეშმაკებმა! ვინცხამ ბატონ-ყმობა გადააგდო! მაშვინ ქე მაინც ერთი ბატონი გყავდა ღრისოვანი და გვაროვანი, ახლა ყოლიკაცი მე მიტყაპუნებს, ყოლი კაცი ნენაზე იწერს ჯვარს საფლავში .. უწინ ბატონი თუ არ მოგეწონებოდა, გახვიდოდი ჩოლოქზე, მიიღებდი თათრობას, მორჩა, გათავდა. წკიპურტს ვინ წაგაკარებდა -რჯულიო შენ იტყვი, მარა მე ასე მოგახსენებ გამეგრელ სტრაჟნიკებას გათათრება კი არა, ყორიფელი სიავე ჯობია!? ცემა, დედის გინება, დაწვა, დახვრეტა, გადასახლება, აშელის პირობაში, ბაშელის მოთხრა, ცხენის ვერ შესტვენა და უნაგერის მტვრევა თუ ქრისტიანობაა, მაშვინ ხუცებს ალაფერი არ გაემტყუნება, იგინიც ქრისტიანები ყოფილან, დრამა ფულიზა რომ გამოგვახიბაკეს.

— აი დაგაბნია ღმერთმა, რაფერ მე შენ დამაბნიე—შენს ლაპარაკს თავი არა აქ და ბოლო.

— დაბნეულიც ხარ და ბოლო მოღებულიც, კაი სეირია შენი ცოლიც თუ ფიქრობს ქმარი მყავსო, ორ ფეხზე ქათამიც ქე იარება, ჩოხა ფორჩხზეც კი მინახავს მიკიდული — შე ოჯახ ამოსადანდარებელო, რაფერ ვერ მიხთი ყოლდღე რომ ყრილობაა, ყოლდღე რომ ძაღლის სახიფივით გათრევენ ხან ალმა და ხან დალმა. ,,ქრმას ცოლი მიუკტა და რაფერ შიუმცხადითო: გვერჩი რომ არ მიუწობა ქე შეიტყობსო'', იმის თქმის არ იყოს, ყოლი კაცი რომ შენი სულთამხუთავია, რამ გამოგაშტერა ისე, რომ აგი ვერ მიხთი. ,,ყვავს შვილი მიუკტა და ბუს მიუგდო სატირლათ, დიდი თავი გაქო''. თოფი მაგინს აქ და ზარბაზანი, ჩინი და ჯამაგირი. მოსულან და ფირალები შენ დეიჭირეო ჩვენ

გვიჩივიან. თვითონ რომ შეხთენ, შეხთენ თუ მოელანდენ, ვინ იცის, ასტეხენ ერთ ·გვახა-გუხს—გეგონება ორი კაცი კი არა, მთელი სოფელი ამოწყვიტესო, გეიხედავ, მიხვალ ნამარ ადგილზე, თხემლაზე ბერდანაის ტყვიით ბოლი აღარაა-—ყორიფელი გამიგონია მარა, ფირალი შარის პირზე შაშვივით ხეზე იჯდა, აგი არ გამიგონია... რამდენი გზობა წუუტკაჩირეს, შემოქმედში, ვაკიჯვარში, პაიჭეის სოულზე, ხიდისთავში, მარა აფერი, იგინი ქე მირბიან და აგი ხეები ქე დაჩარჩეს. სხვაით რომ ვეფერით მოგვინელონ, ასე თუ ქნეს მაინც ადრე მევისპობით. დაგვჩემებიან: დეიჭირე, დეიჭირეო. შე მამაცხონებულის შვილო (შენი დატიებიზა თუ ვინმე ცხონდება) თოფი მე არ მაქ და ფიშტო, გინება რომ შეიტორცხნებოდეს, ჩვენზე უკეთესი იცით, მარა არა კაცი არ მოკლა ჯერე ამ გინებამ და აწი თუ მოკლავს, მერე მეც დევიწყებ და იგიც კარგათ ვიცი, ვისაც შევაგინებ.

— ეი, ვახ, ეი, ვახ?!?

**უბა-კონწარი.**



მ ე ს ტ ვ ი რ უ ლ ი.

(ფოთისათვის)

თვითმართველობის დარბაზში
ხალხი ირევა ჯარათა,
ვაჰ, თუ კურთხეულ „სილიზმა“
აქ; ჩვენშიც, მოიკალათა!
მაშ რასა ნიშნავს ვიცოდე
ეგ ხმაურობა საზარი,
თვითმართველობის შენობავ
რათ გაქვს ეგრე ზანზარი?
ჯირითი ხომ არ დანიშნეს,
რატომ ხმაურობს ბაზარი?!
მივიდეთ მივუთვალთვალოთ
საქმე რა ხდება ამგვარი!

ვნახე... რას ნახავ მკითხველო,
კრება ზღვასავით ღელავდა,
უპრავის ინტელიგენტი
„გილაცას“ ფეხით სთელავდა.
ყვიროდა: „გამყრელიძე ვარ
და მუშტებს მოიღერავდა,
ქალი და კაცი შემყურე
პირჯვარსა დაიწერავდა.
„რაინდსა“ ამას, განთქმულსა
გარს ხალხი შემოხვევოდა
„დაწყნარდი, სირცხვილიაო“.
იონა ევედრებოდა.
მაგრამ «რაინდი» სულ უფრო
ყვიროდა, ილანძღებოდა;
შურის ძიების სურვილით
გული ვერ განუძღებოდა...
იმახდა ,,გაეთრიეთო‘‘
(თმა ყალხზე შეუდგებოდა)
,,თორემო‘‘, (მუშტ-მოღერილი
კრებასა ემუქრებოდა)...
,,რაინდი დამიძლიეს‘‘-ო,
იასონც ეხმარებოდა,
სხვებიც იარაღს ისხამდენ,
უჩხუბრათ არვინ რჩებოდა,
ამ გვარათ მთელი ,,უპრავა‘‘
საომრათ ემზადებოდა...

რა ექნათ აღარ იცოდენ,
შიშით გარბოდენ წევრები
(ვის არ გააქცევს რაინდთა
მუშტები, მონაღერები?!)
ვინ ნახეთ გადარჩენილი,
მათ მუშტებ მონაგერები—
გააქციესო ლაჩრები‘‘,
ხმობდენ ბოროტი ენები.
მაგრამ რა ვუყოთ, ძამია,
,,სუსტია‘‘ მუშის ხელები
გამყრელიძისა ,,სილიზმსა‘‘
უარყოფს ყველა ჩვენები!
ის მათთვის დაგვილოცნია,
მათ შეთხზან განაჩენები
გინა საქები რაინდთა
გინდ მათი შემარცხვენები.

**ნალარა.**

# ფოთის ნეგატივები.

ნიკობურგის იუპიტერებმა ფიცხელი განკარგულება მოახდინეს: ვოლდემარი გაეძევებიათ ნიკობურგის საზღვრებიდან. თქმა და აღსრულება ერთი იქნა! თავისუფლათ ამოისუნთქეს ფოთის მეშჩანმა, დარბაისელმა ექიმმა, განაწყენებულმა პროვიზორმა, უპრინციპო ინტელიგენტმა და „მორაინდე" ჩოხოსანმა. მაგრამ სრულიად მოულოდნელათ, შორეულ ქალაქიდან, თქვენმა მონა მორჩილმა ისევ საყვარელ ნიკობურგში ამოვყავი თავი და შავ ზღვაზე მოგზაურობით დაქანცულმა გადავწყვიტე, ხილკოვის პროსპექტზე მყოფ, ძვირფას ექიმის იაშას ნახვა. დავრეკე ზარი...

— აქ მოითმინეთ, ეხლავ გამოვა, მითხრა მსახურმა.

ძლიერ ცუდია ლოდინი იაშა არსად ჩნდა .. ოთახიდან კი ხმაურობა ისმოდა. ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა, ჭრუჭუტანიდან შევიჭიტინე. ჩემს თვალს წარმტაცი სანახაობა გადაეშალა. მაგიდას შემოსხდომოდენ სამნი და ურთიერთს ამბორს უძღვნიდენ, მეგობრობას ეფიცებოდენ. ერთი მათგანი, მაღალ-მაღალი, გრძელ ულვაშა ყრმა, მოჭიდავე ჩემპიონივით წამოიჭრა და მეორეს, დაბალს, ქარხალივით ჩასუქებულს, მოხვია ხელი და ჩაჰკოცნა...

— ვაიმე, ვაიმე! ეი, შენ მოზვერო, თავი კი ნალამ მომტკვირე. მწარეთ დაიღრიალა ქარხლმა...

— როგორ გიხურს შუბლი, ჩემო ქარხლო!

— შუბლი კი არა, თავი კინაღამ მომტკვირე, შე მოკრივევ, შენა!

— მით უკეთესი. მე მოხარული ვარ რომ შენ თავიც გიხურს, სჩანს „ტვინი ძვირფასი, მასში შთენილი" სდუღს და გადმოდუღს ვით ნიაღვარი.

მომბეზრდა ლოდინი, მაგრათ ჩავახველე. იაშა შეკრთა, სალოკი თითი შუბლს მიიდო, თითქო ფილოსოფიურ რამეს იგონებსო და გაიხსენა, რომ კაბინეტში ვიღაც უცდიდა. გახსნილი ღილები შეიკრა და გამოვიდა.

თვალი რო მომკრა, იაშა სიხარულისაგან დაბარბაცდა, მაგრა ჩამომართვა ხელი და ტირილი მორთო. (ალბათ სიხარულისაგან).

— რა მოგივიდა ბ-ნო ჩემო? რა გატირებთ?

— ბოროტი ენები, ბოროტი ენებია ბ-ნო ვოლდემარ, ყველაფრის დამშლელი. მე და მოკრივე ანდრი ვცხოვრობდით ტკბილათ, გვყავდა იდეოლოგი ქარხლი და შეერთებულის ძალით თავზარსა ვსცემდით მტრებს, მაგრამ ეხლა მოკრივე გადამისახლეს...

— სად, სად გადაასახლეს? შევეკითხე მე.

— ძლიერ შორს! აი გაღმა ქუჩაზე და გულ ამომჯდარი კვლავ ცრემლით ინამა.

— არ იცხოვრება ამ თქვენს ქალაქში, — განაგრძო მან. რაებს არ მწამებენ, რაებს არ ამბობენ ჩემზე... თითქო მე ჩემ პროფესიაში ყველაფერს სიაჟეს ჩავდიოდე, თითქო არაფერს არ ვერიდებოდე, თითქო... და კვალად ორი ობოლი ცრემლი მოსწყდა მწუხარე თვალებს

— არ შეგშვენით ბ-ნო ჩემო, პესიმიზმი რა ექიმის საქმეა! ვანუგეშე მე, მაგრამ იაშა მაინც სტიროდა და სტიროდა აუწერელის გულმოდგინებით.

ალბათ პოეტობას ეპირება

ვოლდემარი.

---

## შ ა რ ა დ ა.

მინდა მივბაძო „კოლოსა"
მეც გამოვაცხო შარადა,
ნუ გამიმტყუნებთ გეთაყვა,
ნუ მომიხსენებთ ავადა.
ერთ გამოჩენილ პროფესორს,
დროებით ვთხოვოთ გვარია,
ქართულსა ძველსა მწერლობას
ფართოდ გაუღო კარია,
თუმც ერთი „ვექილ პოეტი"
(ლიტერატურის „მჩვარია")
ფეხ ქვეშ ედება ტალახად,
სურს ცეცხლზე უსხას ძმარია
როცა გვექნება ხელთ გვარი,
როგორც ვთქვით, პროფესორისა,
უნდა ჩამოვჭრათ მას ბოლო,
(არ არის საქმე ღონისა)
მას შემდეგ სიტყვა მოვნახოთ
ქონების გამქარწყლელია,
თავ-ზარ დამცემი კაცისა,
უბედურების მქნელია.
ხშირ ხშირათ იტყვის ვაჭარი:
ღმერთო მაშორე იმასა,
თორემ, თუ მასში ჩავვარდი
თავგნი დახვრეტენ ქისასა?
როცა ვიშოვით იმ სიტყვას
უნდა „ც" თავში მივაბათ,
შემდეგ წინ გვარი კლებული
მას მივაკონჭოთ-მივაკრათ..
და გამოგვივა ჩვენ სიტყვა
გლეხ კაცის საყვარელია,
სავსეა იმით ზაფხულში,
ყვითელი მინდორ-ველია;
მისივ სახელით ბაქოში
„ნაბეჭდსა" შაურიანსა,
კვირეში ერთხელ ვიხილავთ
ფერ-მკრთალსა, ცუდ სუნიანსა.

სან-ქან.



## დეპეშები.

(შემთხვევით.)

**ახალ-სენაკი.** სიმართლეს მოკლებულია ხმები, თითქო ახალ სენაკის წიგნთსაცავ-სამკითხველო დაკარგულიყოს. როგორც გამოირკვა, ის გადაუტანიათ ბ. ხუნწარიას მაღაზიაში.

**აბაშა.** (სამეგრელო) შესდგა ახალი ექსპედიცია, რომელიც საგანგებო მატარებლით იგზავნება თფილისს ქ. შ. წ. კ. გ. ს. მთავარ შტაბში უქვეშევრდომილესი თხოვნის მისართმევად. ვთხოულობთ სამკითხველოს გახსნას.

**სამტრედია.** გადაყენებული მთავრობის მამასახლისები დაჟინებით მოითხოვენ, ვისაგანაც ჯერ არს, ჯაჭვების შენარჩუნებას*) და გადაყენების მიზეზის ახსნას.

**იქიდანვე.** „კურდღლებზე“ სანადიროთ წამოსული ბ-ნი შენგელია ბევრს ეცადა, მაგრამ ვერას გახდა. ბოლოს ძიმართა დახმარებისათვის სადგურის დარაჯებს და კინაღამ თავი შესწირა იმათ ცნობის მოყვარეობას

**კულაში.** ოლქის მზრუნველმა 1000 ქანქარი უბოძა კულაშს, საქალებო სკოლის დასაარსებლათ. საუბედუროთ საზოგადოებაში ვერ აღმოჩნდა სანდო პირი, რომელსაც ფული ხაზინიდან გამოეტანა. ახლა მთელი საზოგადოება ეპირება ქუთაისისაკენ.

---

## ამოძახილი.

### I

მე შენთან მოველ, შენ გესტუმრე, ველო გაშლილო,
ვარდ-ყვავილებით მოქარგულო, ამწვანებულო
რომ გულის დარდი შენ გაგანდო, გაგიზიარო
ძველო ნაცნობო, დღეს კი ვაჭმე, დავიწყებულო.
შენთან მოველი, მინდა გკითხო მოძმეთ ამბავი
საყვარელ გმირთა, შენს წიაღში დამარხულების,
რომელთაც წმინდა იდეალსა შესწირეს თავი,
თვით დაიკისრეს მწარე ბედი დაჩაგრულების.
რა მოუვიდათ?.. დასავლისა სასტიკმა ქარმა
მკაცრათ დაჭბერა.. მათ საფლავებს ოხერ-ტიალებს,
მიყრილი მიწა ულმობელმა გადაასცალა
და მათი ძვლები მიუყარა მშიერ ტურა-მგლებს?
თუ იგი მატლი, სამარისა მუდმივ დარაჯი
დაეპატრონა მათ ტანჯულ ლეშს, სისხლ-დანაწურსა
და ნელ-ნელა დროის უსამართლოდ განგმირულ გულებს
აღარ დაგიდევს არც სამართალს, არც სიბრალულსა?
ოჰ ველო, ველო! შენ უტყვი ხარ, ვგრძნობ ვერრას
მეტყვი,
არ შეგიძლია, რომ ჩამიქრო გულის სახმილი,
ზეცა მთლად ყრუა... ადამიანს არ სურს ისმინოს...
მაშ ვინ გაიგოს ჩემი მწარე ამოძახილი??

### II

დასავლეთიდან გამურული, ღეგა დრუბლები
წამოიშალენ, აღმოსავლით იბრუნეს პირი,
ცა მოპირქუშდა, შესაზარათ ქარმა დასტვინა,
კვლავ მოუვლინა დედამიწას სევდა და ჭირი.
მთათ მწვერვალებზე შავ ძალებმა მორთეს ხარხარი,
მაღლით დასცინეს სოფლის კვნესას, სოფლის ვაებას,
ჯოჯოხეთიდან მოვლენილნი უკუნის შვილნი
საზიზღარ წყვდიადს უგალობენ ქებათა-ქებას.
ველი კი, ველი გარინდულა, ფიქრს მისცემია
უბედურ დღეთა აღურიცხველ მსხვერპლთა მოწამე
მოელის ისევ ძველ სურათის განმეორებას,
მაგრამ არსით ხმა... მთელ ქვეყანას დარაჯობს ღამე..
სძინავთ პირველ გმირთ, ჩაგრულთათვის მსხვერპლად
შეწირულთ,
ბორიო გლოვის ზარს უმღერის მათ ობოლ საფლავთ
მხოლოდ ცოცხლები მათ წინაშე აღთქმას დებენ რომ

. . . . . . . . . . . . . . . .

მეც იმათ ვუცდი,—ნაცნობია ჩემი ეს ველი
გმირების ძვლებით მოკირწლული ეს არე-მარე,
ოჰ მეგობრებო, მეგობრებო! ხმა, ხმა მომეცით!
შველასა ითხოვს დაჩაგრული სამშობლო მხარე!.

**ნ. ჩხიკვაძე.**

---

*) მართლაც რომ ცოდვაა მათი უჯაჭვოთ დატოვებაა! მით უმეტეს საიმათო ჯაჭვები ბევრი მოიგევა ჩვენს მთავრობას.

ეშმაკი.



## ორი ეშმაკი!

**პირველი.** გამოიცვალა, ქვეყანა
გადასხვაფერდა დუნია,
ყველა ცხარე ცრემლს დაანთხევს
თავ-პირქვე დანაღუნია...
ყოველი მათი კურცხალი
დასაგმობ დასაწუნია,

აშკარა უიმედობის
აუდის ყველას სულია.

**მეორე.** ტყუილათ კი არ ამბობენ
კაცი რო მაიმუნია!..

**პირველი.** ძლიერ შევიდა მოდაში
მუშტის და კრივის ხმარება,
წაღმა-უკუღმა იქნევენ,
ვის რაზომც დამეტარება,
თუ სიტყვა წაგცდა უცები
უმალვე წაგემწარება,
ვერას გიშველის იცოდე
ვერც ალსარების არბება.

**მეორე.** მოძმეთა შორის მშვიდობა
მაშ როგორ დაემყარება?

**პირველი.** აქ, შემოგტყოცნის მწერალი
შორიდან სიტყვას მკვახესა..
სათუო მისახვდომელით
უთუოდ გიგებს მახესა...
ბუნდოვან აზრში მოკაზმავს
მის ნაღვაწ-ნავაგლახესა,
გულში გიმიზნებს, თუმცაღა,
ბინძურ ხელს არ კი გახლებსა...

**მეორე.** ცოცხლითვე დამპალ არსებას
სიკვდილი განაახლებსა.

**პირველი.** ეგერ, შეხედავ, მწერალი
ყიდის კალამს და რწმენასა,
სხვის ჯიბეს დაუკავშირებს
თვის გულსთქმათა დენასა,
სხვათა ნებაზე ატარებს
კალმის წვერს, მახველ ენასა
ფიქრობს მოიმკის ამ სახით
სიამოვნება ლხენასა.

**მეორე.** მტკიცე რწმენაა საჭირო
ზენამ რო სძლიოს ქვენასა.

---

## დეპეშები.

(„ჯოჯოხეთელის“ სააგენტო)

**აბაშა** (გურია).—აბაშის ძველმა მამასახლისმა, მიხელ მსხილაძემ ქალალდის ფასები ასწია, რადგან ეს მერამდენე თხოვნასა სწერს: „მე რომ ორი წლის მამასახლისობაში სამოცი მანეთი შემომეჭამა, ის აბაშის საზოგადოებამ იზარალოს''-ო. ამბობენ ასეთი თხოვნა მთავრობას უკანონოთ უცვნიათ მოსალოდნელია ახალი თხოვნები.

**იქიდანვე.** ადგილობრივ რეაქციის ,,ბიძა-შვილებს'' განზრახვა აქვთ, ,,პრიგოვორული'' თხოვნით მიმართონ პურიშკევიჩს, რათა არამც-და-არამც ,,სტრაჟნიკების პოსტი'' არ მოხსნან აბაშაში.

**იქიდანვე.** აბაშის ,,შემნახველ გამსესხებელი'' ამხანაგობის გამგეობა და საბჭო მომავალ მარტის პირველ რიცხვში ,,წლისთავის ალაპს'' ნიშნავს ამხანაგობის სულის მოსახსენებლათ. ,,ალაპზე'' ბევრს სამგლოვიარო სიტყვებსაც წარმოთქვამენ.

,,აწ განუსვენე'' ს შემდეგ —,,საუკუნოდ იყოს ხსენება''-ს ჩაალაღადურებს თვით გამგეობა და საბჭო. შემდეგ ყველა დამსწრენი ,,შესანდობარს'' მიირთმევენ ადგილობრივ სამიკიტნოებში და დაიშლებიან.

---

## ხუმრობა

(ბათუმისათვის)

ხორო ვნახე მომღერალთა,
უზაბაკო და უკილო,(?)
ტანთ ჩაეცვათ ქულაჯები
ადილული, ულირკილო.
ბავშვებს ტანზე ბლუზა ეცვათ,
გარეცხილი თეთრი ტილო,
ზოგჯერ ბანი აუწევდა,
ზოგჯერ წვრილი უადგილო.
ერი, ბერი ახალგაზრდა,
კბილიანი და უკბილო,
მიკვირს ერთად რამ შეჰყარა—
ასოცი წლის უსიკვდილო...
შევხედე და გამეცინა,
(საქმე იყო სასაცილო...)

**ჩიბუხი და ყალიონი**

---

## სურათი

ვინ დაატყვევა სული ჩემი,
ვინ დაამწყვდია?..
ბაბილინა.

I

ლაჟვარდი ცის ტატნობზე
მთვარე მიმოდიოდა;
ძირს კი ველათ ნიავი
ფრთებ გაშლილი სიოდა!
იქვე დაბურულ ტყეში
ისმოდა ფრინველთ სტვენა;
ტურფა ბულბულს შვენოდა
მგოსნური აღმაფრენა!
უხვ ბუნების წიაღში
სუფევდა შვება ლხენა;
და ხმებს ამუსიკებდა
წყაროს ჩუხჩუხით დენა!
აყვავებულ ბაღნარში
გულ-სევდა განაწონი,
ტრფობის ცეცხლით დაგული
კვნესოდა იადონი!
საოცნებო წალკოტში
ლაღათ მიმოვფრინავდი,
ნეტარებით ვსტკბებოდი,
მწარეთ აღარ ვგმინავდი!

II

მწვანეთ აფერადებულს
შევყურებდი მთის მწვერვალს;

სიდიადით შემოსილს
ვერ ვწყვეტავდი ტყვეთ ქმნილ თვალს!
მის დაბურულ ხეივნებს
გავყევი გტაცებით
და ფრთოსანთა ტკბილ ზევსურს
ვისმენდი აღტაცებით.
ზურმუხტოვან ბუჩქებ-ქვეშ
სატრფიალო იასა
ეშხით მთვრალი ბულბული
ჰყეფდა ტია, ტიასა!
შორი ახლოს, მის გვერდით
ირხეოდა ენძელა;
თითქოს მთხოვდა: — ,,ნუ მომწყვეტ
შენ გენაცვალოს ყველა!"
მეც შევძახე: ყვავილნო,
ტურფა ედემის შვილნო
ნუ გეშინით ჩემგანა...
თქვენ გიგალობთ ყველგანა!..

III

...და ასე, ამ მხარეში
ოცნების ჭრელის ფრთებით;
ვეძლეოდი სიხარულს
სრულის თავდავიწყებით!
უჩინარი სულივით
სერზე მიმოვდიოდი,
ხან კი არწივისავით
კლდის ნაპრალზე ვყიოდი!
ბუნების სიდიადით,
შვებას ვგრძნობდი, ვტკბებოდი;
სურნელოვან ყვავილებს
უხვათ ვყნოსდი, ვთვრებოდი!
ხან ხევისკენ შველივით
ფრთხილად დავეშვებოდი
დამაშვრალი, მწყურვალე
ცივ წყალს ვეწაფებოდი.
შემდეგ ისევ მთის ქედურს
ჯიხვებრ, შეუდგებოდი
და სავსე სიამაყით
მწვერვალს მოვევლებოდი!

IV

მაშინ მეგონა ყველა
ვიყავით ბედნიერნი
მაძღარნი და მშიერნი,
ყმაწვილნი და ხნიერნი
მაგრამ... ჩუ!...
ეს რა მესმა?
იდუმალი
კაცის ხმა:
,,ეი, მითხარ ძმობილო
რას დაეძებ ამ მხარეს?
იქნებ გამოქცევიხარ
ტანჯულთა სიმწუხრეს?
რასაც ელტვი და რაც გსურს
ილოდე აქ ვერ ჰპოვებ;
სინამდვილე ძირს დაგცემს
მწარეთ იტირ იგლოვებ!
მარქვი, რათ მიატოვე
შენი კუთხე ქვეყანა?!
ოცნება, ცდუნებაა
ნუ თუ არ იცი განა?!
როს გვემული იქ მოსთქვამს
შენ აქ რისთვის მოსულხარ
მითხარი ხალხის შვილო
რატომ შენ კი არ სწუხარ?"
ესა სთქვა და მისწყდა ხმა...
ავსულმა ჩაიცინა;
ოხ, კვლავ გაისმის მოთქმა—
გულმაც ამოიგმინა!,.

**გ. ქუჩიშვილი.**



# დ ე პ ე შ ე ბ ი.

(კახეთის სააგენტო.)

**თელავი**. ქალაქის თავმა თანაშემწეთ, (ანუ უკეთ ვსთქვათ) ფეხებათ ამოირჩია თავისი ძმისწული. ამბობენ ახლო მომავალში უთუოდ ყველა ხმოსანი და გამგეობის წევრიც ფათუზოვი უნდა დარჩესო

**იქიდანვე.** შახ-აბაზის დრო დადგა! ქალაქის მამებმა ერთ მუშას ხელიდან გამოსტაცეს სტამბა და ულუკმა პუროთ დასტოვეს.

**იქიდანვე** ამბობენ ქალაქის მამები მეორე აფთიაქს ხსნიან, სადაც ერთი ძმისწული ყავს დასაყენებელიო.

**იქიდანვე.** დაჟინებით ამბობენ ქალაქის თავი მომავალ პროგიმნაზიას თავისი სახლის გვერდზე ხსნისო. კიდევ ყავს ვინმე ბიძაშვილი თუ დედიდაშვილი ეს კი აღარ იციან.






# წარღვნა ბათუმისა.

თუ გაგვიკოტრდა ბათუმი
საქონლითა და ქანქარით,
სამაგიეროთ მდიდარ არს
წვიმით, ცით გადმონაღვარით.
ქუჩებში მიჰქრის მდინარე,
აზვირთებული ტალღებით,
მასზე ვერავინ გარდახვალთ
თუ არ ნიჩბით და ნავებით.

სკოლა დასცურავს ტალღებში
ხომალდათ გადაქცეული,
ნავები, ბავშვით ტვირთულნი
მიჰქრიან გამალებული.
ქუჩებში ნამდვილ წარღვნაა
ბუნების ნათამაშები
და შეჰხარიან ამ სურათს
ჩვენი ქალაქის მამები.

უინი.

## აბაშელი ცერცვაძე ხუცის სიმღერა.

თუ სადმე ვინმე ერთია
(ხუცეს რომ სწამდეს ღმერთია)
მეორეთ მე ვარ ქებული,
მარჯვე და მოხერხებული!
თუ სადმე ვნახე საკბილო
გამშორდი ნამუს სირცხვილო!!!
მოლესილი მაქვს კბილი მე...
ქანქარო შენი ჭირიმე!
ბევრი საგმირო მიქნია...
(ღვდელმა თუ კუდი იქნია?!!)
მაგრამ რაც ვქენი გუშინა,
დიდების შუქი მომფინა.
გასათხოვარი ვიხელთე
შევფცქვენ, მოგეცეთ სიკეთე!
არც იქით მივე მოწმობა,
არც განუცხადე მათ ნდობა.
იწვალეს, არა გაუხდათ,
ფოთში ქორწილი წაუხდათ.
როცა შევატყვე, ქანქარი
ჯიბეში მქონდა საკმარი,
ალილუია დავსძახე
და გადავსწერე მათ ჯვარი.
ღმერთო მარჯვენა მიკურთხე
ჯერ კიდევ ვკრიჭო ეს კუთხე...

შხანკოლა.

---

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

დღემდე ვერ წარმომედგინა, რა უშლიდა ხელს ბ-ნ „გ-ლის“, რომ იგი პირადათ გამომყოლოდა სამედიატორო სამართალში, დღეს-კი, მაგონებენ, ვითომ იგი რაღაც «მიზეზს» ერიდებოდეს... თანახმა ვარ, გამომიგზავნოს რწმუნებული, რადგან მე მხოლოთ ჩემი სიმართლის აღდგენა მაინტერესებს და არა სხვა „რამე“.

დღიდან ამ წერილის გამოცხადებისა, ვადას ვაძლევ ერთ კვირას.

კონდუქტორი სანდრო პაპინაშვილი.

—

ბ რედაქტორო! გთხოვთ დამიმოწმოთ, რომ თქვენი პატივცემული ჟურნალის «მათრახ-სალამურის» მე 4 ნომერში მოთავსებული ცნობა დ. ჭიათურიდან მ. წეროძის შესახებ მე არ მეკუთვნის *).

პატივისცემით გრიშა ი. შილაკაძე.

ბ. ივ. ჯაყელი სამედიატორო სამართალში მიწვევს, რომ დაუმტკიცო მას, რაც მე მის შესახებ თქვენ პატივცემულ ჟურნალში წავიჯილეხე. რაო ნეტავი? ალბად აქაო და ვინმეს მართალი ვეგონებიო. ყოველ შემთხვევაში, მე მაინც ვეცდები გაუწყოთ. თუ რამ მაიძულა ისე მოვქცეულიყავი, როგორც მოვიქეცი. ჟურნალ „იალქანი“-ს მესამე ნომერში აწყვია შემდეგი „მარგალიტები“ ოზურგეთელ კორესპონდენტის მიერ მოწოდებული:

1) „თუმცა ახალი თვითმართველობა შესდგა, მაგრამ ფაქტიურათ ისევ ძველის ხელშია თვითმართველობა და კვლავ შიგ «ივლიანიზმის» ჰეგემონია განმტკიცდა».

2) «ეს ორგანო რეაქციის პერიოდში აშკარა მებრძოლი გახდა ყოველ გვარ პროგრესიულ მიმდინარეობის: არაფრის გაკეთება, ფულების უკანტროლოდ **ფლანგვა** და სხვ...

3) «წარსული 1904 და 1905 წ. წ. შემოსავალ გასავლის ანგარიში ძველმა გამგეობამ არ წარუდგინა სარევიზიო კომისიას“.

4) „სარევიზიო კომისიამ მხოლოდ 1906—7—8 წლების ანგარიში განიხილა».

5) „როდესაც კომისიამ გასავლის დამამტკიცებელი ფაქტები მოითხოვა—გამგემ ვერავითარი საბუთი ვერ წარუდგინა».

6) «როდესაც საბჭოს სხდომაზე სარევიზიო კომისიამ მოხსენება წარუდგინა საბჭოს, მაშინ ბ. ივლ. ჯაყელი არ დაესწრო, მხოლოდ ბ. ვ. ხ—ძემ, როდესაც შეეკითხენ, შემდეგი განაცხადა: მართალია მე ქალაქის თავი ვიყავი, მაგრამ მე თვეში ერთხელაც არ შევდიოდი და **ყველა საქმეებს ჯაყელი განაგებდაო**“ შემდეგ კორესპონდენტი დასძენს — «სწორეთ, ეს მართალია, ფაქტიური ხელმძღვანელი თვითმართველობის გამგეობის ჯაყელი გახლდათ»-ო დასასრულ ამბობს კორესპონდენტი: „დღესავით ნათელია ყველასათვის, რომ შემოსავალ გასავლის ანგარიშებში სრული ანარქიაა და არ ეთანხმება სინამდვილეს» ო.

ეხლა მე ცოდვილი ვკადნიერდები ვიკითხო შემდეგი: თუ ქალაქის ყველა საქმეებს ბ-ნი ივლიანე განაგებდა, თუ ფაქტიური ხელმძღვანელი თვითმართველობის გამგეობის ივლიანე იყო და თუ ამავე დროს არაფერს აკეთებდა და ფულების უკანტროლოთ ფლანგვა, ორი წლის ანგარიშის უქონლობა, გასავლის საბუთების უქონლობა, ერთი სიტყვით ანგარიშებში სრული ანარქია და თუ ეს ყველა «ივლიანიზმათ» იქმნა მონათლული და ივლიანემ ეს ბრალდების აბები **ჩუმათ და შიშუხებლათ გადაყლაპა**—მქონდა თუ არა მე უფლება ბ-ნ ივლიანესთვის მეწოდებია ქალაქის კასის „იმასმქმნელი?“.

რაც შეეხება სამედიატორო სასამართლოში გაყოლას, მოვახსენებ ივლიანეს, რომ მე ჯერჯერობით არ მსურს აქედან გაყოლება, ამიტომ დრომდე მოთმინება იქონიოს.

პატივის ცემით **ჯილეხი.**

---

## მათრახის ფოსტა.

**ბათუმი.** რიკვატას. თქვენ იწერებით: აბა რა დამოკიდებულება აქვს ჩემი თმის „შეკრეჭილობას“ კორესპონდენციების წერასთანო.» მოგახსენებთ: სწორეთ იმდენი, რამდენიც თქვენს თმას თქვენ ტყავთან და თქვენს აზრს თქვენ თავთან.

**ხონი.** მოვალალეს. თქვენ გვისაყვედურებთ: „ახალი მიმართულების ლექსებს არა ბეჭდავთო“ და თან სანიმუშოთ გვიგზავნით:

„დარდებო ეხსენთ ამ გულსა
და ნუ მიმატეშთ ცეცხლებსა
თორემ დავდნები უნაყოფოთ
ჩემი აღარა ბრალია“.

თქვენ ოღონდ დადნით უნაყოფოთ, ან ასეთი „ახალი“ ნაყოფებით ჩვენ ნუ გვაწუხებთ და «ბრალი» ჩვენ თავზე იყოს.

**ბელაგორი.** კიბორჩხალს. შაშვი რომ შავია და არა თეთრი ამის მტკიცება ჩვენს ჟურნალში ჯერ ნაადრევია. მკითხველი ვერ გაიგებს.

**საჭილაო.** წვერას. ცოდვა გამხელილი სჯობია! ბ-ნ ეშმაკს არ მოსწონს გრძელი წვერი. ალბათ ამიტომ თქვენს

---

*) **რედაქცია** ამოწმებს, რომ აღნიშნული წერილი არ ეკუთვნის გრიშა შილაკაძეს.

ვრცელთა-უვრცელეს კორესპონდენციას «ნარდის თამაშის შესახებ» ასეთი რეზოლიუცია წაეწერა:

„ეგ სისულელე გრძელია,
ვათარცა ფიჭვის ძელია,
დამწერსა მელან-ქაღალდი
ჰქონია უზრუნველია,
სანაცვლოდ გამპრიახობას
არ შეუწყვია ხელია...
ან დიაკონი იქნება,
ან შტატ გარეშე ღვდელია,
ამას ამტკიცებს, აგრეთვე,
წვერი ჰქონია გრძელია“

ჩვენ აღარაფერი დაგვრჩენია მისამატი.

**სამტრედია.** სპილოს. თქვენ ალბათ ფიქრობდით: „პაწაწა „კოდოა“ თუ ამდენ შარადას სწერს, მე, „სპილოს“ დავირქმევ, მეტსაც დავსწერ და უკეთესსაცო. „განზრახვა კარგია მაგრამ ცუდათ აგისრულებიათ. აბა მოისმინეთ:

„შინაურ ცხოველს, ძროხასა,
მოსწყვიტეთ უკან კუდია,
ეს ეტკინება პირუტყვსა
და მეტის მეტათ ცუდია“.

სავსებით გეთანხმებით: «რომ მეტის-მეტათ ცუდია ძროხას მოსწყვიტოთ კუდია» მაგრამ უმეტეს ცუდია ის გარემოება, რომ «კუდის მოწყვეტის» შემდეგ თქვენ საშარადოთ გრჩებათ არა «ძროხ», არამედ „ტანი». ასეთ შარადას ვერც თქვენ გამოიცნობთ და თუ არა გჯერათ აბა სინჯეთ:

„სამტრედიელსა სპილოსა
მოსჭრით ცალი ფეხია
და რაც დარჩება იმასა
კისერიმც მოუტეხია».

აბა თუ გამოიცნობთ?! ხომ ვერა? ახლა გეტყვი: დარჩა «კოჭლი!»

---


წ Ე Ლ Ი წ Ა Დ Ი **1910 წლისათვის** მ Ე Ო Რ Ე.

მიიღება ხელის მოწერა

# ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე




ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს ავვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ

# პრემიათ გაეგზავნება

# ახალი კრებული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორგინალური ისე ნათარგმნი.

**წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მ.**

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლათ შემოიტანოს პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ 2 მ. 50 კ. დანარჩენი 2 მ. 50 კ. პირველ ივნისამდე.

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома“ Василію Карамановичу Болквадзе.


ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუს. ქ. № 3.

რედაქტორ-გამომცემელი Ս. ტურაბელიძე.




## საარჩევნო ბრძოლა ინგლისში.

(ინგლისურ ჟურნალიდან)

პოლიციელი. ჩინებული დაპირებაა! სჩანს უმუშავარი 40 წლისა ყოფილა!



## დუმის განწმენდა.

— ეს რა ამბავია?

— არაფერი, ჩვეულებრივი დეზინფექცია პარლამენტისა. პური-შკევიჩი გამოყავთ დარბაზიდან.

— სჩანს იმათ არაფრად მიაჩნიათ თქმულება: საკუთარი ოჯახის ნაგავი ქუჩაში არ უნდა გამოიტანო.